თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2023 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით მე დავით გოგბერაშვილი, როგორც საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი და ამავე დროს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვალდებული ვარ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ ჩავაბარო ამომრჩეველს. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება მიღებული ნდობის შენარჩუნებაა, ჩემი საქმიანობის ამოცანა პოლიტიკური პროცესების მართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება. მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ჩემი ყოველი სამუშაო დღის დასაწყის მაქსიმალურად ვცდილობ ჩართული ვიყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში და ჩემ სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემის მოგვარებაში, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჩემი ვალდებულებაა ჩართული ვიყო ყველა იმ პროცესში რომელსაც ახორციელებს საკანონმდებლო ორგანო.

საკრებულოში ვარ ორი კომისიის წევრი (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი). ასევე საკრებულოში არსებულ გენდერული თანასწორობის წევრი. 2023 წლის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე 22 საკრებულოს სხდომაში, სადაც განხილული იქნა 123 საკითხი. მონაწილეობა მივიღე 20 ბიუროს სხდომაში სადაც განხილულ იქნა 128 საკითხი, ჩემი ხელმძღვანელობით წარიმართა ბიუროს ორი სხდომა.

როგორც ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა მონაწილეობა მივიღე კომისიის მიერ გამართულ 11 სხდომაში, სადაც განხილულიქნა 44 საკითხი და საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის 16 ჩატარებულ სხდომაში, განხილულ იქნა 30 საკითხი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა გენდერული თანასწორობის საბჭოს ორი სხდომა, რომელებშიდაც აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას.

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ვიყო ორი თემის საზანოსა და თუზის მაჟორიტარი დეპუტატი, საზანო და თუზი თავის მხრივ აერთიანებს 11 სოფელს საზანოს შემადგენლობაში შედის 6 სოფელი,თუზის შემადგენლობაში კი 5 სოფელი. 2023 წლის განმავლობაში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. სოფელ თავასა თუზის დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა.

2. თუზისა და საზონოს ცენტრალურ გზაზე გარე განათებების მოწყობა
3. სხვადასხვა უბნებში წყლის სისტემის მოწყობა.
   აგრეთვე ჩემს სამაჟორიტარო ოლქში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:
   1. სოფელ ზედა საზანოში ცენტრალურ გზაზე მოეწყო გარე განათება და ჩუბინიძეები-ბრეგვაძეების უბნისათვის შეძენილ იქნა პოლიეთილენის მილი, წყლის ტუმბო, ელ სადენი.
   2. სოფელ ჩიხორში შეტანილ იქნა მთის ქანი
   3. სოფელ დელტასუბანში ურიადმყოფელების უბანში გზის რთულ მონაკვეთზე მოეწყო ბეტონი საფარი
   4. სოფ სკანდეში ფართლაძეებს უბანში მოეწყო ბეტონის საფარი
   5. სოფელ მუჯირეთში შეტანილ იქნა მთის ქანი და მოეწყო 4 მეტრი სიგრძის ცხაური
   6. სოფელ შიმშილაქედში მოეწყო გარე განათება.
   7. სოფელ თუზში შემოიღობა სასაფლაო
   8. სოფელ თავასაში გზის გაუვალ მონაკვეთზე მოეწყო ბეტონის საფარი
   9. სოფელ კაკაბურში მოეწყო ბეტონის საფარი
   10. სოფელ ვარდიგორაში მოეწყო გარე განათება
   11. სოფელ ჯგილათში შეტანილ იქნა მთის ქანი

აგრეთვე აქტიურად ვარ ჩართული ჩემს სამაჟორიტარო ოლქში შემავალ სოფლებში სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, როგორიცაა: საუბნო გზებზე ქვიშა-ღორღის შეტანა და გაშლა, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზების გასწორება-დაპროფილება, გზების გაუვალ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა, მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა და სხვა.

აგრეთვე ხშირია მოსახლეობის მომართვა მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სოციალური პროგრამების გამოყენების მიზნით, მაქსიმალურად ვცდილობ ყველა მოქალაქის პრობლემის მოგვარებაში ვიყო ჩართული და მათი საჭიროებიდან გამომდინარე შევძლო დახმარება.

სოფელ საზანოში ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 102 მოქალაქემ, საერთო თანხა შეადგენს 16 600 ლარს.

სურსათით დახმარება გაეწია 49 ბენეფიციარს, სურსათზე გახარჯული თანხა შეადგენს 4 310 ლარს.

თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 62 მოქალაქემ, ჯამურად გადახდილი თანხა შეადგენს 18 841 ლარს.

სოფელ თუზში ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 126 მოქალაქემ, საერთო თანხა შეადგენს 18 500 ლარს.

სურსათით დახმარება გაეწია 41 ბენეფიციარს, სურსათზე გახარჯული თანხა შეადგენს 3 210 ლარს.

თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 37 მოქალაქემ, ჯამურად გადახდილი თანხა შეადგენს 10 186 ლარს.

აგრეთვე სოფელ თუზში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის ფარგლებში ერთ ბენეფიციარს აუშენდა საცხოვრებელი სახლი.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დავით გოგბერაშვილი